დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს

2020 წლის 6 ივლისის №24/17 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის N24/5 დადგენილებით დამტკიცებულ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ

დებულებაში“

ცვლილების შეტანის თაობაზე:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, თსსუ-ის წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების“

1. მე-2 მუხლში. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს და მიეთითოს „2. ამოღებულია“.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. ინფორმაცია სადოქტორო კვლევის პროგრამის სტრუქტურის შესახებ. სასწავლო კრედიტების რაოდენობა და განაწილება“.

3. მე-5 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) სემესტრით. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.